



ერთი პოლიტიკა, რომელიც ყველა ბრენდს მოიცავს და მიზნად თქვენს დაცვას ისახავს.



კონფიდენციალურობა, რომელსაც იმსახურებთ.

ჩვენ თქვენს მონაცემებს ყურადღებით და გონივრულად ვამუშავებთ. ამის გარანტი ჩვენი დებულებები და თავსებადობის ზომებია. შეკითხვების ან პრობლემების არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ ნებისმიერ დროს დაგვიკავშირდეთ.



კონფიდენციალურობის პოლიტიკა

განახლდა **2022 წლის 14 ოქტომბერი**

[ჩამოტვირთეთ ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკის ასლი \(PDF\).](#)

ხდკ

ხშირად დასმული შეკითხვები იმის შესახებ, თუ როგორ ვაგროვებთ, ვინახავთ და ვიყენებთ თქვენს მონაცემებს.

ვყიდით თქვენს პერსონალურ ინფორმაციას ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ? [არა](#)

ვაწვდით თუ არა თქვენს მონაცემებს მესამე მხარის სახით წარმოდგენილ პარტნიორებს? [დიახ](#)

ვიღებთ თუ არა ინფორმაციას სხვა კომპანიებისგან, რომლებსაც თქვენ უკვე მიეცით მონაცემების გამოყენების ნებართვა? [დიახ](#)

ვიყენებთ თუ არა თქვენს ინფორმაციას პროდუქტების რეკომენდაციების და საიტიდან მიღებული გამოცდილების დასახვეწად? [დიახ](#)

გაძლევეთ თუ არა თქვენი მონაცემების კონტროლის საშუალებას? [დიახ](#)

როგორ შეგიძლიათ თქვენი მონაცემების კონტროლი

თქვენ აკონტროლებთ საკუთარ პირად ინფორმაციას. თქვენ შეგიძლიათ, ისარგებლოთ საკუთარი უფლებებით და სასურველი პარამეტრები ნებისმიერ დროს შეცვალოთ.

✓ მონაცემთა სუბიექტის უფლებათა მოთხოვნა

თქვენი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით P&G-მ შეიძლება შემოგთავაზოთ თქვენს ინფორმაციაზე წვდომის და თქვენი მონაცემების შეცვლის ან წაშლის შესაძლებლობა.

სხვა შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ, მოითხოვოთ წვდომა, წაშლა ან შესწორება მარკეტინგული ტექსტებისა და ელწერილების გამოწერის გასაუქმებლად ან სარეკლამო მიზნით თქვენი ელფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებაზე უარის სათქმელად, რისთვისაც შეგიძლიათ, გამოიყენოთ [ეს ბმული](#).

თქვენ ასევე შეგიძლიათ, გვთხოვოთ, შევწყვიტოთ თქვენთვის ელწერილებისა და ტექსტური შეტყობინებების გამოგზავნა, რისთვისაც უნდა მიჰყვეთ ამ შეტყობინებებთან ერთად გამოგზავნილ უარის ინსტრუქციას. გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ შეიძლება დაგვჭირდეს გარკვეული ინფორმაციის შენახვა თქვენი არჩევნის დასაკმაყოფილებლად (მაგ., თუ თქვენ გვთხოვთ, რომ მარკეტინგული შინაარსის ელწერილების გამოგზავნა შევწყვიტოთ, თქვენი ელფოსტის მისამართის შენახვა დაგვჭირდება, რათა ჩვენმა სისტემებმა დაიმახსოვროს, რომ თქვენ აღარ გსურთ ელფოსტის აღნიშნულ მისამართზე სარეკლამო შეტყობინებების მიღება.

ამასთან ერთად, ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, ჩვენ ვერ მოვახერხოთ თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილება (მაგ., ტრანზაქციის მონაცემების წაშლა, როცა მისი შენახვის ვალდებულება გვაკისრია კანონის წინაშე, მიზეზებს შორის ასევე შეიძლება იყოს თაღლითობის თავიდან აცილება, უსაფრთხოება ან სხვების კონფიდენციალურობის დაცვა).

✓ ქცევაზე დაფუძნებული ტრადიციული ონლაინ რეკლამა

როგორ არის შესაძლებელი, შეწყდეს ინტერესებზე დაფუძნებული ტრადიციული რეკლამების გამოგზავნა P&G-ის იმ რეკლამების მიღების შესაჩერებლად, რომლებიც ინტერესებზეა დაფუძნებული თქვენ შეგიძლიათ, [დააწკაპუნოთ აქ](#). [link: PC-1 Preference Center] ან დაწკაპუნებით აირჩიოთ AdChoices-ის ხატულა ჩვენს რომელიმე საიტზე. ევროპისთვის შეგიძლიათ დააჭიროთ [აქ](#). გააუქმეთ ჩვენი ყველა სარეკლამო პარტნიორის გამოწერა:

- Tapad
- TradeDesk
- MediaMath
- Neustar
- Facebook
- Amazon
- Google
- Liveramp

ასევე, შეგიძლიათ თავიდან აიცილოთ ინტერესზე დაფუძნებული რეკლამების მიღება ვებსაიტებზე, თუ უარს იტყვით ქუქი-ფაილებზე თქვენს ბრაუზერ(ებ)ში, უარს ეტყვით „მონაცემებზე წვდომის“ მოთხოვნებს, რომლებსაც

აპები ჩვეულებრივ წარმოგიდგენენ, როდესაც მათ აყენებთ, ან დაარეგულირებთ რეკლამის ტრეკინგის პარამეტრებს თქვენს მოწყობილობაზე. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ შეიძლება მიიღოთ ინდივიდუალიზებული რეკლამები ელფოსტის მისამართზე და ტელეფონის ნომერზე დაყრდნობით, თუ ისინი მარკეტინგული მიზნებისთვის მოგვაწოდებთ. მათ გამოყენებაზე უარის სათქმელად [დაგვიკავშირდით](#).

„კონტექსტური“ რეკლამები იმ შემთხვევაშიც შეგხვდებათ, თუ ინტერესებზე დაფუძნებულ რეკლამებზე იტყვიან უარს თუნდაც შევწყვიტოთ თქვენთვის ინტერესზე დაფუძნებული რეკლამების გამოგზავნა, თქვენს კომპიუტერზე ან მობილურ მოწყობილობებზე მაინც მიიღებთ რეკლამებს ჩვენი ბრენდებისგან. ეს რეკლამები ეფუძნება თქვენ მიერ მონახულებული საიტების კონტექსტებს და მათ კონტექსტური რეკლამები ეწოდება. ინტერესზე დაფუძნებული რეკლამებისგან განსხვავებით, რომლებიც ეფუძნება თქვენ მიერ მობილურ ტელეფონზე ან კომპიუტერზე მონახულებულ გვერდებს, კონტექსტური რეკლამები არის რეკლამები, რომლებიც თქვენთვის ნაჩვენებია იმ კონკრეტული საიტის კონტექსტის მიხედვით, რომელსაც ათვალიერებთ. მაგალითად, თქვენ შეიძლება ხედავდეთ ბავშვთა მოვლის ჩვენი ერთ-ერთი ბრენდის რეკლამას, სანამ ონლაინ ათვალიერებთ ჩვილების პროდუქტებს, რადგან ამ საიტების ძირითადი სტუმრები, ტრადიციულად, ახალი ან მომავალი მშობლები არიან. ასევე, უნდა იცოდეთ, რომ შეიძლება მაინც ვაგროვებდეთ ინფორმაციას თქვენი კომპიუტერიდან ან მოწყობილობებიდან და ვიყენებდეთ მას სხვა მიზნებით, მაგალითად, ჩვენი ვებსაიტების მუშაობის შესაფასებლად, მომხმარებელთა კვლევისთვის ან თაღლითობის გამოსავლენად.

ქუქი-ფაილების წაშლა უარის განცხადებასთან დაკავშირებულ ქუქი-ფაილსაც წაშლის როდესაც უარს ამბობთ ინტერესზე დაფუძნებულ რეკლამებზე, თქვენს ბრაუზერში გიგზავნით უარის ქუქი-ფაილს, რომელიც გვეუბნება, რომ თქვენ აღარ გსურთ ჩვენგან ინტერესზე დაფუძნებული რეკლამების მიღება. თქვენ უარის ქუქი-ფაილი წაიშლება, თუ ყველა ქუქი-ფაილის წაშლას გადაწყვეტთ. ეს ნიშნავს, რომ ხელახლა უნდა თქვათ უარი, თუ კვლავაც არ გსურთ ინტერესზე დაფუძნებული რეკლამების მიღება.

წვდომის ან წაშლის იმისათვის, რომ გააკეთოთ წვდომის ან წაშლის მოთხოვნა ქვევთა დაფუძნებული ტრადიციული ონლაინ რეკლამისთვის გამოყენებულ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით, რომლებიც მოიცავს, მაგალითად, თქვენ შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ შესაძლო ინფორმაციას ქუქი-ჩანაწერის ან მოწყობილობის იდენტიფიკატორის დონეზე და რომელსაც შესაბამისი რეკლამების მოსაწოდებლად ვიყენებთ, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ [აქ](#). თქვენი მოთხოვნის დასამუშავებლად გვჭირდება, თქვენ მივიღოთ ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე იდენტიფიკატორი:

- თქვენი ქუქი-ფაილების საიდენტიფიკაციო კოდები ჩვენი სერვისის მომწოდებლებიდან: Tapad, Neustar, MediaMath და TheTradeDesk.
- თქვენი მობილური სარეკლამო საიდენტიფიკაციო კოდები (IDFA, Android ID).
- თქვენი ტელევიზორის სარეკლამო იდენტიფიკატორი — ესაა უნიკალური იდენტიფიკატორი, რომელსაც ჰუკიანი ტელევიზიის პროვაიდერი გასცემს რეკლამისთვის, მაგ., Roku ID.

▼ დამატებითი ინფორმაცია სკანდინავიის ქვეყნებისთვის

თუ თქვენ ინფორმაცია მოგვაწოდებთ სკანდინავიურ საიტებზე ან პარტნიორების საიტებზე სტუმრობის შემდეგ, ამ საიტებში შედის:

- <https://www.bravardag.se>
- <https://www.pampers.se/>
- <https://www.pampers.fi/>

- <https://www.pampers.no/>
- <https://se.braun.com/en>
- <https://www.oralb.se/sv-se>
- <https://www.oralb.no/nb-no>
- <https://www.oralb.fi/fi-fi>
- <https://www.oralb.dk/da-dk>
- <https://www.babybox.se>

მონაცემთა სუბიექტის უფლებებით სარგებლობა შეგიძლიათ [ამ ბმულზე](#) დაწკაპუნებით.

✓ მონაწილეობა მომხმარებელთა კვლევაში

იმ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული მოთხოვნის შესაქმნელად, რომლებიც შეიძლება ერთ-ერთ ჩვენს კვლევაში თქვენი მონაწილეობიდან გამომდინარე გვქონდეს, გთხოვთ, იხილოთ თქვენს თანხმობის ფორმაზე წარმოდგენილი საკონტაქტო ინფორმაცია ან დაურეკოთ ან ეწვიოთ ჩვენს კვლევით ცენტრს.

✓ ინფორმაცია კალიფორნიის მოსახლეობისთვის

თუ თქვენ კალიფორნიაში ცხოვრობთ, შეგიძლიათ, გაეცნოთ პერსონალურ ინფორმაციას, რომელიც თქვენ შესახებ გვაქვს შენახული, მოითხოვთ დეტალური განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ ინფორმაციას, გვთხოვთ თქვენი მონაცემების წაშლა ან მოგვთხოვთ, რომ აღარ „გაყიდოთ“ თქვენი პირადი ინფორმაცია („გაყიდვის“ იმ მნიშვნელობით, რომელსაც CCPA გვთავაზობს). მეტის შესატყობად და ამ უფლებებით სარგებლობისთვის გამოიყენეთ [ეს ბმული](#).

✓ ინფორმაცია EEA-ის და გაერთიანებული სამეფოს მოსახლეობისთვის

თუ ევროპის ეკონომიკურ ზონაში ან გაერთიანებულ სამეფოში ცხოვრობთ ან ფიზიკურად იმყოფებით, უფლება გაქვთ, მიიღოთ თქვენ შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომა, მოითხოვოთ არაზუსტი, მოძველებული ან არასაკმარის ინფორმაციის შესწორება, წაშლა ან შეზღუდვა და გვთხოვთ, მოგაწოდოთ აღნიშნული მონაცემები ისეთ ფორმატში, რომლის მეშვეობითაც შეგეძლება გადასცეთ ის მომსახურების სხვა მომწოდებელს. ამას გარდა, უფლება გაქვთ, ნებისმიერ დროს გამოიხმოთ თანხმობა იმ შემთხვევაში, თუ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას თქვენს თანხმობას ვეყრდნობით. ასევე, უფლება გაქვთ, გააპროტესტოთ თქვენი პერსონალური მონაცემების ჩვენ მიერ დამუშავება (ანუ გვთხოვთ მათი გამოყენების შეწყვეტა) იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მონაცემები ჩვენი კანონიერი ინტერესის საფუძველზე მუშავდება (ანუ მათი გამოყენების მიზეზი გვაქვს).

მოთხოვნის შესაქმნელად [აქ დააწკაპუნეთ](#).

თუ გსურთ მეტი ინფორმაციის მიღება მონაცემთა დაცვის და ზოგადად, თქვენი უფლებების შესახებ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით, ეწვიეთ ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის საიტს შემდეგ მისამართზე: <https://edps.europa.eu/data-protection/> გაერთიანებული სამეფოს ინფორმაციის კომისრის სამმართველოს საიტს შემდეგ მისამართზე: <https://ico.org.uk>. თქვენს მოთხოვნებზე ჩვენი გამოხმაურებით უკმაყოფილების შემთხვევაში უფლება გაქვთ, საჩივარი შეიტანოთ თქვენს ქვეყანაში არსებულ მონაცემთა დაცვის ორგანოში.

Procter and Gamble España SA იცავს AUTOCONTROL-ის მიერ შემუშავებულ ქცევის კოდექსს მონაცემთა დაცვის შესახებ, რომელსაც ესპანეთის მონაცემთა დაცვის სააგენტოს აკრედიტაცია აქვს და აქედან გამომდინარე, პასუხისმგებელია მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული საჩივრების არაოფიციალური სისტემის წინაშე, როცა საქმე მონაცემთა დაცვას და რეკლამას ეხება. მეტი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, ეწვიონ ვებსაიტს: www.autocontrol.es.

✓ ინფორმაცია სტომატოლოგებისთვის

თუ თქვენ სტომატოლოგი ხართ და ინფორმაცია ერთ-ერთი ისეთი საგანმანათლებლო-საინფორმაციო პროგრამის საშუალებით მოგვაწოდეთ, როგორცაა <https://www.dentalcare.com>, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ P&G-ის ადგილობრივი წარმომადგენლის, მაგ., Oral-B-ის მეშვეობით.

როგორ ვაგროვებთ და ვიყენებთ თქვენს მონაცემებს

ყველა სხვა ბრენდის მსგავსად, მონაცემებს ვაგროვებთ, როცა თქვენთან გვაქვს ურთიერთობა ან თქვენ გასცემთ ინფორმაციას, რომელიც, თავის მხრივ, ჩვენთან შეიძლება მოხვდეს. ამას პატივისცემით და ფრთხილად ვაკეთებთ თქვენი უფლებების დასაცავად. მონაცემები გვცემს გვეხმარება, უკეთ გაგიცნოთ როგორც მომხმარებელი და ადამიანი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია შეიძლება გამოვიყენოთ ცალკე ან შევაჯგუფოთ, რათა უკეთესი პროდუქტები, მომსახურება და გამოცდილება შემოგთავაზოთ.

✓ როგორ ვაგროვებთ მონაცემებს

თქვენ შესახებ ინფორმაციას ვაგროვებთ მრავალი მეთოდით და ბევრი ადგილიდან. ჩვენ მიერ შეგროვებული ინფორმაციის ნაწილი, შესაძლოა, მოიცავდეს პერსონალურ ინფორმაციას, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია თვენი იდენტიფიცირებისთვის; მაგალითად, თქვენი სახელი, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი ან საფოსტო მისამართი. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ევროპის ეკონომიკურ ზონაში შემავალ ქვეყნებსა და გაერთიანებულ სამეფოში ან კალიფორნიის მსგავს შტატებში, შესაძლოა, პერსონალურ ინფორმაცია ითვლებოდეს ისეთი მონაცემებიც, როგორცაა IP-მისამართი ან ქუჩი-ჩანაწერები და მობილური მოწყობილობის იდენტიფიკატორები.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ: ჩვენ შეიძლება გავაერთიანოთ მთელი ინფორმაცია, რომელსაც თქვენს შესახებ ვაგროვებთ, რათა მოგაწოდოთ უკეთესი პროდუქტები, სერვისები და მომხმარებლის უკეთესი გამოცდილება.

✓ თქვენ გასცემთ მას პირდაპირ

თქვენს ინფორმაციას გვაწვდით, როდესაც ჩვენს ვებსაიტებზე ან მობილურ აპებში ანგარიშს ხსნით, გვირეკავთ ან გვწერთ ელფოსტაზე. ჩვენ შეიძლება მოგთხოვოთ ისეთი ინფორმაცია, როგორც არის თქვენი სახელი, ელფოსტის ან

სახლის მისამართი, დაბადების თარიღი, გადახდის ინფორმაცია, თქვენი ასაკი, სქესი, თქვენი ოჯახის წევრების რაოდენობა და თუ როგორ გსურთ, გამოგიგზავნოთ ინფორმაცია ჩვენი პროდუქტებისა და სერვისების შესახებ — მაგალითად, სახლის მისამართზე, ელფოსტის მისამართზე თუ ტექსტური შეტყობინებით.

✓ თქვენ იყენებთ ვებსაიტებს და ელფოსტას

ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ ტექნოლოგიები, რომლებიც ავტომატურად აგროვებს ინფორმაციას, როდესაც სტუმრობთ ჩვენს საიტებს, ნახულობთ ჩვენს რეკლამებს ან იყენებთ ჩვენს პროდუქტებს ან სერვისებს. მაგალითად, ჩვენ ვიყენებთ ქუქი-ფაილებს (მცირე ზომის ფაილი, რომელიც თქვენი კომპიუტერის ბრაუზერში ინახება), რათა დავადგინოთ ბრაუზერი და საოპერაციო სისტემა, რომელსაც იყენებთ, თქვენი IP მისამართი, ვებგვერდები, რომლებსაც სტუმრობთ, ბმულები, რომლებზეც აჭერთ, ასევე, გახსენით თუ არა ჩვენგან მიღებული ელწერილი.

✓ თქვენ იყენებთ მობილურ აპებსა და სხვა მოწყობილობებს

საუკეთესო სამომხმარებლო გამოცდილების უზრუნველსაყოფად, ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ ტექნოლოგიები, რომლებიც აგროვებენ ინფორმაციას თქვენი ტელეფონიდან, როდესაც ჩვენს მობილურ აპებს იყენებთ ან „ჭკვიანი“ მოწყობილობებიდან, რომლებიც სახლში გაქვთ. თქვენ ამაზე თანხმდებით აპის ჩამოტვირთვისას ან სახლის ინტერნეტთან დაკავშირებული მოწყობილობების დაყენებისას. ეს ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს თქვენი მობილური ტელეფონის ან სხვა მოწყობილობის სარეკლამო საიდენტიფიკაციო ნომერს, ინფორმაციას თქვენი ტელეფონის საოპერაციო სისტემის შესახებ, თუ როგორ იყენებთ აპს ან მოწყობილობას, ასევე, თქვენს ფიზიკურ ადგილსამყოფელს. თქვენს ტელეფონზე ან მოწყობილობაზე მიიღებთ კონტექსტურ შეტყობინებას, რომელიც შემოგთავაზებთ არჩევანს, დათანხმდეთ ან უარი თქვათ ჩვენთვის თქვენი ზუსტი გეოლოკაციის მოწოდებაზე (ზუსტად სად იმყოფებით ან საიდან გაქვთ წვდომა ინტერნეტზე).

✓ თქვენ უკავშირდებით პარტნიორებს ან მესამე მხარეებს

ჩვენ შეიძლება მივიღოთ ინფორმაცია, რომელსაც სხვა კომპანიები გაგვიზიარებენ ან მოგვყიდნიან. მაგალითად, თქვენ შეიძლება სხვა კომპანიისთვის მიგეცათ თანხმობა ჩვენთვის თქვენი პერსონალური ინფორმაციის გაზიარებაზე, როდესაც ტელეკომუნიკაციის სერვისებზე ან მოვაჭრისადმი ერთგულების ქულების პროგრამაში დარეგისტრირდით. ასევე, ჩვენ შეიძლება შევავროვოთ ინფორმაცია სხვა ადგილებიდან, რომლებსაც, როგორც იცით, ყველა ხედავს, როგორც არის ინტერნეტის პოსტები, ბლოგები, ვიდეოები ან სოციალური მედიის საიტები. ასევე, შეიძლება ინფორმაცია მივიღოთ სხვა კომპანიებისგან, როგორცაა მომხმარებელთა მონაცემების გადამყიდველები, რომელთა საქმიანობაც უკავშირდება თქვენ შესახებ ინფორმაციის შეგროვებას ან შეჯამებას მონაცემთა საჯაროდ ხელმისაწვდომი ბაზებიდან (ადგილობრივი იურიდიული მოთხოვნების დაცვით ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან თქვენი თანხმობის საფუძველზე, რომელიც მათ მიერ, და შედეგად, ჩვენ მიერ თქვენი ინფორმაციის გამოყენებაზე განაცხადეთ. ეს შეიძლება იყოს ინფორმაცია თქვენი შემოსავლის დონის, ასაკის, სქესის, ოჯახის წევრების რაოდენობის, ასევე იმ პროდუქტების შესახებ, რომლებიც ინტერნეტით ან თქვენი უბნის მაღაზიებში შეიძინეთ.

✓ ჩვენ მიერ მონაცემთა გამოყენების ზოგადი გზები

თქვენს ინფორმაციას ვიყენებთ იმისათვის, რომ განვახორციელოთ ჩვენი მიზანი, ყოველდღიურად შევცვალოთ და გავაუმჯობესოთ თქვენნაირი ადამიანების ცხოვრება მსოფლიოს ყველა კუთხეში.

მაგალითად, თქვენს ინფორმაციას ვიყენებთ იმისათვის, რომ:

- მოგაწოდოთ მომსახურება
- შევასრულოთ თქვენი იდენტიფიკაცია და ავთენტიფიკაცია ჩვენს მარკეტინგულ პროგრამებში და ვებსაიტებზე
- ვუპასუხოთ თქვენ შეკითხვებს ან ინფორმაციის მიღების მოთხოვნებს
- მოგაწოდოთ მხარდაჭერის სერვისი
- გამოგიგზავნოთ შეტყობინებები ტრანზაქციების შესახებ (მაგალითად, ანგარიშის ამონაწერი ან დადასტურებები)
- გამოგიგზავნოთ მარკეტინგული შეტყობინებები, გამოკითხვები და მოწვევები
- დავამუშაოთ თქვენი გადახდა, როცა ჩვენგან ყიდულობთ პროდუქტს
- დავამუშაოთ თანხის დაბრუნების მოთხოვნა და დაგიბრუნოთ თანხა
- გამოგიგზავნოთ თქვენ მიერ მოთხოვნილი პროდუქტები ან ნიმუშები
- დაგეხმაროთ P&G-ის საიტის ან აპის პარამეტრების მართვაში
- მოგცეთ ჩვენს კონკურსებში ან გათამაშებებში მონაწილეობის საშუალება
- ვიურთიერთოთ თქვენთან სოციალურ ქსელში
- უკეთ გავიგოთ თქვენი ინტერესები და გემოვნება და შესაფერისი შემოთავაზებები და შეტყობინებები გამოგიგზავნოთ თქვენ და თქვენს მსგავს სხვა ადამიანებს
- აუდიტორიების მსგავსების მიხედვით, თქვენ და სხვა ადამიანებს მოგაწვდით შესაფერის რეკლამებს. მაგალითად, აშშ-ში თეთრეულის სარეცხი საშუალების მარკეტინგულ ელ.წერილებს თუ გამოიწერთ, თქვენი ჰეშირებული ელფოსტის მისამართი შეიძლება საფრანგეთში Facebook-ზე ავტომატურად იმისათვის, რომ იქ ვიპოვოთ მომხმარებლები, რომლებიც Facebook-ის აზრით, თქვენ „გგავთ“ და მათ შევთავაზოთ რეკლამა Facebook-ზე.

ჩვენ ინფორმაციას ვიყენებთ ისეთი შიდა კორპორაციული ინტერესებისთვისაც, როგორცაა

- ხარისხის კონტროლი, სწავლება და ანალიტიკა
- უსაფრთხოების დაცვა და ვერიფიკაცია
- სისტემის ადმინისტრაცია და ტექნოლოგიის მართვა, ჩვენი ვებსაიტებისა და აპლიკაციების ოპტიმიზაციის ჩათვლით
- უსაფრთხოების მიზნები, მათ შორის, საფრთხეების აღმოჩენა და მათი აღმოფხვრა ან თაღლითური მოქმედებებისგან თავის დაცვა

- ჟურნალის წარმოება და მომხმარებლებთან ურთიერთობის აუდიტი, მათ შორის ჟურნალები და ჩანაწერები, რომლებსაც ტრანზაქციასთან დაკავშირებული ინფორმაციის სახით ვინახავთ
- რისკის მართვა, აუდიტი, საგამომიებო მოქმედებები, ანგარიშების მომზადება და სხვა იურიდიული და თავსებადობასთან დაკავშირებული მიზეზები

თქვენი პერსონალური ინფორმაცია შეიძლება გამოვიყენოთ თქვენს უკეთ გასაცნობადაც:

- შიდა კვლევისთვის
- იმ მიზნით, რომ შევქმნათ პროდუქტები, სერვისები და პროგრამები, რომლებიც ჩვენს მომხმარებლებს ალაფრთოვანებს
- სავარაუდო მომხმარებლების აღმოსაჩენად

თქვენს ინფორმაციას, მათ შორის, მესამე მხარის (მაგ., მეგობრის მოსაწვევი პროგრამის) მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ასევე ვაგროვებთ და ვიყენებთ ჩვენი ფინანსური სტიმულების, ბონუსების, ფასდაკლებების (მაგ., ფასთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული კუპონების) და ლოიალურობის პროგრამების (ერთიანად მოვიხსენიებთ „ბონუსური პროგრამების“ სახელით) ადმინისტრირებისთვის და ჩატარებისთვის. ამ პროგრამებში თქვენ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ვიყენებთ თქვენი ვინაობის დასადასტურებლად, უნიკალური ბონუსების შემოსათავაზებლად, პროგრამაში თქვენი სტატუსისთვის თვალის მისაღწევებლად და პროგრამაში დაგროვებული ქულების პროდუქტებზე, სარეკლამო მასალებზე, სასწავლო სემინარებზე და მსგავს შემოთავაზებებზე გადაცვლის გასამარტივებლად. რომელიმე ბონუსურ პროგრამაში ჩართვაზე თანხმობის განცხადების შემდეგ თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ თანხმობის გაუქმება, თუ დაგვიკავშირდებით კონფიდენციალურობის ამ პოლიტიკაში მითითებული საკონტაქტო მონაცემების საშუალებით ან შესაფერისი ბონუსური პროგრამის წესებსა და პირობებში მოცემულ ინსტრუქციას მიყვებით. ბონუსურ პროგრამებში ჩართულ მონაწილეებთან დაკავშირებული ან მათგან მიღებული ინფორმაცია შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი სხვა მიზნით ან ნებისმიერი გზით, როგორც ამას კონფიდენციალურობის ეს პოლიტიკა ითვალისწინებს. როგორც ამას კალიფორნიის მომხმარებელთა კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ კანონის (CCPA) შესაბამისად ბონუსური პროგრამებისთვის თქვენი პერსონალური ინფორმაციის ღირებულების გამოთვლის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ, [დააწკაპუნოთ აქ](#).

✓ როგორ ვიყენებთ ქუქი-ფაილებს

ქუქი-ფაილები მცირე ზომის ფაილებია, რომლებიც თქვენს კომპიუტერს ეგზავნება, როცა ინტერნეტს იყენებთ. მათში ინახება სასარგებლო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იქცევით ვებსაიტებზე, რომლებსაც სტუმრობთ. ქუქი-ფაილები არ აგროვებს ინფორმაციას, რომელიც თქვენს კომპიუტერში ან მოწყობილობაში ან ფაილებში ინახება. ქუქი-ფაილები არ შეიცავს ინფორმაციას, რომლითაც პირდაპირ შეიძლება თქვენი ვინაობის დადგენა. ქუქი-ფაილებში თქვენი კომპიუტერი და მოწყობილობა მხოლოდ შემთხვევით მინიჭებული რიცხვებისა და ასოების სახით ჩანს (მაგ., ქუქი-ფაილი ABC12345) და არა სახელითა და გვარით.

ქუქი-ფაილებს რამდენიმე მიზეზით ვიყენებთ, მაგალითად:

- თქვენთვის შესაბამისი რეკლამის მოსაწოდებლად
- მეტის შესატყობად იმის შესახებ, თუ როგორ ურთიერთქმედებთ P&G შიგთავსთან

- ჩვენი ვებსაიტების მონახულებისას თქვენი გამოცდილების გასაუმჯობესებლად
- თქვენთვის სასურველი პარამეტრების დასამახსოვრებლად, როგორც არის ენა ან რეგიონი, ისე, რომ თქვენ არ დაგჭირდეთ ვებსაიტის მორგება თითოეული ვიზიტისას
- შეცდომების აღმოსაჩენად და მათ აღმოსაფხვრელად
- იმის გასაანალიზებლად, თუ რამდენად კარგად მუშაობს ჩვენი ვებსაიტები

✓ ჩვენ მიერ გამოყენებული ქუქი-ფაილების ტიპები:

აუცილებლად საჭირო ეს ქუქი-ფაილები უზრუნველყოფს გვერდის ჩატვირთვას ან მნიშვნელოვანი ფუნქციების შესრულებას, რომელთა გარეშე გვერდი ვერ იმუშავებდა (მაგ., საყიდლების კალათში თქვენი მონაცემების შენახვა).

წარმადობასთან დაკავშირებული ქუქი-ფაილები ეს ქუქი-ფაილები საიტებს საშუალებას აძლევს, თქვენი მომდევნო სტუმრობისთვის დაიმახსოვრონ, რას ანიჭებთ უპირატესობას. მაგალითად, თუ პირველ ვიზიტზე ამჯობინეთ, საიტი ფრანგულ ენაზე წაგეკითხათ, შემდეგ ვიზიტზე საიტი ავტომატურად ფრანგულად გამოჩნდება. ის, რომ ენის არჩევა ყოველ ჯერზე არ გიწევთ, თქვენთვის საიტს უფრო მოსახერხებელს, ეფექტურს და მარტივად გამოსაყენებელს ხდის.

რეკლამასთან დაკავშირებული ქუქი-ფაილები ეს ქუქი-ფაილები შეიძლება გამოიყენებოდეს იმის გასაგებად, თუ რა ინტერესები გაქვთ ზოგადად, მაგალითად, თქვენ მიერ მონახულებულ ვებსაიტებზე და ნაყიდ პროდუქტებზე დაყრდნობით. ეს, ასევე, შეიძლება დაგვეხმაროს, გავაკეთოთ დასკვნები თქვენს შესახებ, მაგალითად, თქვენი ასაკი, ოჯახური მდგომარეობა და რამდენი შვილი შეიძლება გყავდეთ. აღნიშნული მონაცემები საშუალებას გვაძლევს, გამოგიგზავნოთ იმ პროდუქტებისა და სერვისების რეკლამები, რომლებიც უკეთ შეესაბამება იმას, რაც მოგწონთ ან გჭირდებათ. ეს, ასევე, საშუალებას გვაძლევს, შევზღუდოთ ერთი და იგივე რეკლამის ნახვების რაოდენობა.

ანალიტიკასთან დაკავშირებული ქუქი-ფაილები ეს ქუქი-ფაილები გვეუბნება, თუ როგორ მუშაობს ჩვენი ვებსაიტები. ხშირ შემთხვევაში, ჩვენი საიტების მუშაობაზე დასაკვირვებლად Google Analytics-ის ქუქი-ფაილებს ვიყენებთ. ჩვენი უნარი, გამოვიყენოთ და გავაზიაროთ Google Analytics-ის მიერ ჩვენს საიტებზე თქვენი ვიზიტების შესახებ შეგროვებული ინფორმაცია, შეზღუდულია [Google Analytics-ის გამოყენების პირობებით](#) და [Google-ის კონფიდენციალურობის პოლიტიკით](#).

✓ როგორ შეგიძლიათ, მართოთ ქუქი-ფაილები

შეგიძლიათ თქვენი ბრაუზერი ისე დააყენოთ, რომ უარი თქვათ ყველა ქუქიზე ან გეცნობოთ, როდესაც ქუქი თქვენს კომპიუტერში გამოიგზავნება. თუმცა, ამან შეიძლება ჩვენი საიტების ან სერვისების გამართულ მუშაობას შეუშალოს ხელი. ასევე, შეგიძლიათ ბრაუზერი ისე დააყენოთ, რომ ქუქი-ფაილები წაიშალოს ყოველთვის, როცა ინტერნეტში ნავიგაციას დაასრულებთ.

✓ როგორ ვიყენებთ ინტერესებზე დაფუძნებულ რეკლამას

როდესაც ჩვენს პარტნიორ საიტებზე შედიხართ, შეიძლება გიჩვენოთ რეკლამები ან სხვა შიგთავსი, რომლის ნახვასაც, ჩვენი აზრით, ისურვებდით. მაგალითად, თქვენ შეიძლება მიიღოთ სარეცხის ფხვნილ ტაიდის® რეკლამები, თუ შევნიშნეთ, რომ შედიხართ საიტებზე, სადაც ბავშვების ტანსაცმელი ან სასკოლო ნივთები იყიდება. და ამ ინფორმაციიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ თქვენ გყავთ ბავშვები და შესაბამისად, სრულიად შესაძლებელია,

გაინტერესებდეთ ძლიერი სარეცხი საშუალება. ამგვარად, გვსურს, გამოვიგზავნოთ შესაბამისი ინფორმაცია ჩვენი პროდუქტების შესახებ, რომლებიც შეიძლება თქვენთვის სასარგებლო იყოს.

ჩვენ ვსწავლობთ მომხმარებელთა იმ ჯგუფების მაგალითზე, რომლებსაც მსგავსი ინტერესები აქვთ ჩვენ შეიძლება შეგიყვანოთ მომხმარებელთა გარკვეულ ჯგუფში, რომლებიც თქვენთვის საერთო ინტერესებს ავლენენ. მაგალითად, შეიძლება შეგიყვანოთ „სამართებლის მოყვარულთა“ ჯგუფში, თუ ვნახავთ, რომ ხშირად ყიდულობთ სამართებლებს ონლაინ, ან შეიძლება აღმოჩნდეთ „გარიგებით მყიდველი“, თუ შევნიშნეთ, რომ ონლაინ-კუპონებს იყენებთ ან ფასდაკლებებს ეძებთ. თქვენს შესახებ ასეთ რამეებს ვამჩნევთ, როდესაც ვებგვერდებს ათვალერებთ, აჭერთ ბმულებს ჩვენს ვებსაიტებზე და სხვა ვებსაიტებზე, რომლებზეც შედიხართ, იყენებთ მობილურ აპლიკაციებს, ან ნახულობთ ჩვენი ბრენდების ელწერილებს და აჭერთ ბმულებს ელწერილებში. ჩვენ ვაჯგუფებთ ქუქის და მოწყობილობის საიდენტიფიკაციო ნომრებს, რაც გვებმარება შევიტყოთ იმ მომხმარებელთა ჯგუფის ზოგადი ტენდენციები, ჩვევები ან მახასიათებლები, რომლებიც ონლაინ და/ან ოფლაინ ერთმანეთის მსგავსად იქცევიან. ამ გზით, შეგვიძლია ვიპოვოთ ბევრი სხვა ადამიანი, რომელიც „ისევე გამოიყურება“ როგორც ისინი, ვინც უკვე ჯგუფშია და მოვემსახუროთ მათ. ამგვარად, შეგვიძლია, გავუგზავნოთ მათ, ჩვენი აზრით, შესაფერისი და სასარგებლო პროდუქტის შეთავაზება და ინფორმაცია.

ჩვენ სხვა ინფორმაციას თქვენს ქუქი-ფაილთან და მოწყობილობის საიდენტიფიკაციო ნომრებთან ვაკავშირებთ თქვენს ქუქი-ფაილს და მოწყობილობის საიდენტიფიკაციო ნომრებს შეიძლება დაემატოს სხვა ინფორმაცია, როგორც არის ინფორმაცია იმ პროდუქტების შესახებ, რომლებსაც ოფლაინ ყიდულობთ ან ინფორმაცია, რომელსაც პირდაპირ გვაწვდით, როდესაც ჩვენს საიტებზე ანგარიშს ქმნით. ზოგადად, ამას ისე ვაკეთებთ, რომ თქვენი პიროვნების იდენტიფიკაცია არ მოხდეს. მაგალითად, ჩვენ შეიძლება ვიცოდეთ, რომ ქუქის ID ABC12345, პირის მიერ მონახულებული ვებსაიტების, ასაკის, სქესის და მყიდველის ჩვევების მიხედვით, ეკუთვნის სამართებლის მოყვარულთა ჯგუფს, მაგრამ არ გვეცოდინება ამ პირის სახელი ან მისამართი, ან სხვა ინფორმაცია, რომელიც მისი ვინაობის იდენტიფიკაციას მოახდენს. თუ ოდესმე თქვენი ქუქის ან მოწყობილობის ინფორმაციის (ვების და აპების დათვალერების ისტორია) პერსონალურ იდენტიფიკაციას მოვისურვებთ, ამის გაკეთებამდე ყოველთვის გკითხავთ.

ჩვენ თქვენს ამოცნობას შევძლებთ თქვენს ყველა კომპიუტერზე, პლანშეტზე, ტელეფონზე და მოწყობილობაზე ჩვენ შეიძლება ვიცოდეთ, რომ ქუქის ID ABC12345 არის კომპიუტერიდან, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს იმავე პირს ან ოჯახს, რომელიც მოწყობილობის ID EFG15647-ის მქონე მობილური ტელეფონის მფლობელია. ეს ნიშნავს, რომ თქვენ შეიძლება თქვენს ლეპტოპზე მოძებნოთ ბავშვის საფენები, დააწკაპუნოთ Google ძიების შედეგების ბმულზე, რომელსაც ჩვენ ვასპონსორებთ და მოგვიანებით ნახოთ ჩვენი პამპერსის® ბრენდის საფენების რეკლამა თქვენს მობილურ ტელეფონზე. ჩვენ შეიძლება მივიჩნიოთ ან დავასკვნათ, რომ კომპიუტერის და ტელეფონის მფლობელი ერთი და იგივე პირია, რადგან, მაგალითად, ისინი შედიან ერთსა და იმავე WiFi ქსელში ყოველდღე, ერთსა და იმავე დროს. იმის ცოდნა, თუ რომელ მოწყობილობებს იყენებს პირი ან ოჯახი, გვებმარება შევზღუდოთ ერთი და იგივე რეკლამის ნახვების რაოდენობა თქვენს ყველა მოწყობილობაზე. და ეს მნიშვნელოვანია, რადგან ამგვარად თავს არ გაბეზრებთ ერთი და იმავე რეკლამის თავს მოხვევით და არ ვიხდით ისეთი განმეორებითი რეკლამების საფასურს, რომლებიც არ გვსურს, რომ მიიღოთ.

ასოციაციური მედია როცა ჩვენი ვებსაიტების ან აპების მეშვეობით თქვენს პერსონალურ მონაცემებს მოგვაწვდით, ჩვენ გამოვიყენებთ ამ მონაცემების დაშიფრულ ვერსიას ან ჩამნაცვლებელ იდენტიფიკატორს იმისთვის, რომ მოგაწოდოთ რეკლამები, რომლებიც, ჩვენი აზრით, შეიძლება მოგეწონოთ. როგორც წესი, ამისთვის პლატფორმაზე, რომელიც გთავაზობს სარეკლამო სივრცეს (მაგ., Facebook, YouTube, Instagram, TikTok და ა.შ.) ვტვირთავთ თქვენი ელფოსტის მისამართის, ტელეფონის ნომრისა და მობილური სარეკლამო იდენტიფიკატორის დაშიფრულ ასლს, თქვენი ბაზრისა და თქვენ მიერ მოწოდებული მონაცემების შესაბამისად. ამას გარდა, იმავე მონაცემებს ვიყენებთ თქვენთვის რეკლამის მოსაწოდებლად ე.წ. „ღია ვების“ მეშვეობით. ეს ნიშნავს, რომ შეიძლება ნახოთ შესაბამისი რეკლამები ჩვენი მხრიდან ვებსაიტებსა თუ აპებში (ან სხვაგან, მაგალითად, ციფრულ ტელევიზორში), რომლებიც მონაწილეობენ თავიანთი სარეკლამო სივრცის ონლაინაუქციონებში.

კომპლექსური შესაბამისობა ზოგიერთი ჩვენი საიტი იყენებს კომპლექსური შესაბამისობის ფუნქციებს, რომლებსაც თავიანთი რეკლამებისთვის გვთავაზობს სოციალური მედიის პლატფორმები (მაგ. [Facebook-ის კომპლექსური შესაბამისობისთვის](#), [TikTok-ის კომპლექსური შესაბამისობისთვის](#) და ა.შ.). კომპლექსური შესაბამისობის მეშვეობით, ჩვენ სოციალური მედიის პლატფორმას ჰეშირებული და დაშიფრული ფორმატით გავუზიარებთ ზოგ მონაცემს, რომელსაც ჩვენს საიტზე განთავსებულ ანკეტებში შეიყვანთ (მაგ., თქვენს სახელსა და გვარს, ელფოსტის მისამართს ან ტელეფონის ნომერს, მაგრამ არა მგრძობიარე ან განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს), ან სოციალური მედიის პლატფორმის პიქსელი დაშიფრავს და წაიღებს მონაცემებს ავტომატურად იმ მიზნით, რომ ბრაუზერის ქუქი-ჩანაწერს ან მოწყობილობის ID-ს დაგაკავშიროთ. ამას ვაკეთებთ იმისთვის, რომ შესაბამისი სოციალური მედიის პლატფორმებზე ჩვენი რეკლამის ეფექტურობა გავზომოთ და უკეთესად შევარჩიოთ სამიზნე აუდიტორია. ასე შევძლებთ გავიგოთ მოცემულ სოციალური მედიის პლატფორმაზე თქვენთვის რეკლამის ჩვენების შემდეგ დააწკაპუნებთ თუ არა მასზე, გახსნით თუ არა ჩვენს საიტს და იყიდით თუ არა რამეს და, აქედან გამომდინარე, სოციალური მედიის პლატფორმაზე რეკლამების ყიდვა უნდა გავაგრძელოთ თუ არა.

✓ სხვა ტექნოლოგიები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ

სიახლოვეზე დაფუძნებული შუქურები შუქურები აგზავნის ცალმხრივ სიგნალებს თქვენს ტელეფონზე დაყენებულ მობილურ აპებზე ძალიან მოკლე მანძილიდან, რათა გითხრათ, მაგალითად, რომელი პროდუქტებია ფასდაკლებით, როდესაც მაღაზიაში დადიხართ. შუქურები თქვენს მოწყობილობას მხოლოდ მაშინ ელაპარაკება, როდესაც საკმარისად ახლოს მიდიხართ და მას შემდეგ, რაც თანხმობას განაცხადებთ კონკრეტულ შუქურასთან დაკავშირებულ მობილურ აპლიკაციაში. თავის მხრივ, აპებმა შეიძლება მოგვაწოდონ მდებარეობის ინფორმაცია, რაც რეკლამებისა და შემოთავაზებების თქვენზე მორგებაში გვეხმარება. მაგალითად, როდესაც ახლოს ხართ შუქურასთან სუპერმარკეტის კანის მოვლის განყოფილებაში, ჩვენ შეიძლება \$4-იანი ფასდაკლების კუპონი გამოგიგზავნოთ.

პიქსელები ეს არის მცირე ზომის ობიექტები, რომლებიც ჩაშენებულია ვებგვერდში, მაგრამ უხილავია. ისინი, ასევე, ცნობილია „ტეგების“, „ვებხოჭოების“ ან „პიქსელის გიფების“ სახელით. პიქსელებს ვიყენებთ თქვენს კომპიუტერზე ქუქი-ფაილების მოსაწოდებლად, ჩვენი ვებსაიტების აქტივობის მეთვალყურეობისთვის, ჩვენს საიტებზე უფრო მარტივად შესასვლელად და ონლაინ მარკეტინგული აქტივობისთვის. ასევე, პიქსელებს ვრთავთ ჩვენს პრომო ელწერილებში ან საინფორმაციო ბიულეტენებში, რათა განვსაზღვროთ, გახსნით თუ არა მათ და იმოქმედებთ თუ არა მათზე.

მობილური მოწყობილობის იდენტიფიკატორები და დეველოპერის კომპლექტები პროგრამის კოდს ჩვენს მობილურ აპებში ვიყენებთ იმის მსგავსი ინფორმაციის შესაგროვებლად, რასაც ქუქი-ფაილები ინტერნეტში აგროვებს. ეს არის ისეთი ინფორმაცია, როგორც არის თქვენი მობილური ტელეფონის იდენტიფიკატორები (iOS IDFA-ები და Android Advertising ID-ები) და თუ როგორ იყენებთ ჩვენს აპებს. ქუქი-ფაილების მსგავსად, მოწყობილობის ინფორმაცია, რომელსაც ავტომატურად ვაგროვებთ თქვენ მიერ ჩვენი აპების გამოყენებისას, თქვენი პიროვნების იდენტიფიკაციას არასოდეს მოახდენს. ჩვენთვის მობილური მოწყობილობა ცნობილია მხოლოდ როგორც შემთხვევითობის პრინციპით მინიჭებული ციფრები და ასოები (მაგ., რეკლამის ID EFG4567) და არასოდეს როგორც, მაგალითად, ჯონ ე. სმითი.

ზუსტი გეოლოკაცია ჩვენ შეიძლება მივიღოთ ინფორმაცია თქვენი ზუსტი მდებარეობის შესახებ, მაგალითად, გლობალური პოზიციონირების სისტემის (GPS) კოორდინატებიდან (გრძედი და განედი), როდესაც ჩვენს მობილურ აპებს იყენებთ. თქვენ ყოველთვის მიიღებთ კონტექსტურ შეტყობინებას თქვენს ტელეფონზე ან მოწყობილობაზე, რომელიც გთხოვთ, დათანხმდეთ ან უარი თქვათ ჩვენთვის საშუალების მოცემაზე, ვიცოდეთ, თუ ზუსტად სად იმყოფებით. თქვენ უნდა გესმოდეთ, რომ ყოველთვის არ მოგთხოვთ თანხმობას, ზოგადად ვიცოდეთ, რომ იმყოფებით რომელიმე ქალაქში, საფოსტო კოდის არეალში ან პროვინციაში. მაგალითად, ზუსტ მდებარეობად არ მივიჩნევთ, თუ მხოლოდ ის ვიცით, რომ თქვენ სადღაც ფილიპინებში, მანილაში იმყოფებით.

✓ საიტისა და აპის შიგთავსი

პლაგინები შესაძლოა, ჩვენი ვებსაიტები შეიცავდეს სხვა კომპანიების, მაგალითად, სოციალური ქსელების, დანამატებს. დანამატის მაგალითია Facebook-ის ღილაკი „მოწონება“. შესაძლოა, აღნიშნულმა დანამატებმა შეაგროვოს ინფორმაცია (მაგ., იმ გვერდის URL, რომელიც მოინახულეთ) და გაუზიაროს კომპანიას, რომელმაც ისინი შექმნა. ეს შეიძლება მოხდეს მაშინაც კი, თუ დანამატზე არ დააწკაპუნებთ. მართალია, აღნიშნული დანამატები ჩვენს ვებსაიტებზე ჩანს, თუმცა ისინი იმართება იმ კომპანიის კონფიდენციალურობის წესებისა და პირობების მიხედვით, რომელმაც ისინი შექმნა. ევროპული ეკონომიკური ზონისა და გაერთიანებული სამეფოსთვის განკუთვნილი ვებსაიტების შემთხვევაში ჩვენ ვმოქმედებთ, როგორც აღნიშნული მონაცემების მაკონტროლებელი მათი შეგროვებისა და გადაცემის მიზნებისთვის. ასეთი დანამატები არა აუცილებელი ქუქი-ჩანაწერებია და ევროპული ეკონომიკური ზონისა და გაერთიანებული სამეფოსთვის განკუთვნილ ვებსაიტებზე იმუშავებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქუქი-ჩანაწერების გამოყენებას დაეთანხმებით.

სისტემაში შესვლა ჩვენი ვებსაიტები შეიძლება საშუალებას გაძლევდნენ, შეხვიდეთ სისტემაში სხვა კომპანიის ანგარიშის გამოყენებით, მაგალითად, „შესვლა Facebook-ის საშუალებით“. როდესაც ამას აკეთებთ, ჩვენ წვდომა გვაქვს მხოლოდ იმ ინფორმაციაზე, რომლის მოწოდებაზეც დათანხმდით იმ კომპანიის ანგარიშის პარამეტრებით, რომელსაც შესვლისთვის იყენებთ.

მომხმარებლის შიგთავსი ჩვენი ზოგიერთი საიტი და აპი საშუალებას მოგცემთ, ატვირთოთ თქვენი საკუთარი შიგთავსი კონკურსების, ბლოგების, ვიდეოებისა და სხვა ფუნქციებისთვის. გახსოვდეთ, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც გვაწვდით ან აქვეყნებთ, საჯარო ინფორმაცია ხდება. ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ, თუ როგორ შეიძლება გამოიყენონ სხვებმა თქვენ მიერ ჩვენი საიტებისა და აპებისთვის მოწოდებული შიგთავსი. ჩვენ არ ვაგებთ პასუხს ამგვარ გამოყენებაზე იმ სახით, რომელიც შეიძლება არღვევდეს ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკას, კანონს, ან თქვენს პერსონალურ კონფიდენციალურობას და უსაფრთხოებას.

ბმულები P&C საიტები შეიძლება შეიცავდეს სხვა ისეთი საიტების ბმულებს, რომლებსაც ჩვენ არ ვაკონტროლებთ. ეს საიტები იმართებიან არა ჩვენი, არამედ მათი საკუთარი კონფიდენციალურობის პოლიტიკითა და პირობებით.

როგორ ვაზიარებთ თქვენს მონაცემებს

ჩვენი ბიზნესსაქმიანობა თქვენი პერსონალური მონაცემების გაზიარებას არ ეფუძნება. ასე მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ვიქცევით და თქვენს კონფიდენციალურობას ვიცავთ.

✓ თქვენი თანხმობით

როდესაც თქვენი თანხმობა გვაქვს, თქვენი ინფორმაცია შეიძლება გავუზიაროთ შერჩეულ პარტნიორებს, რათა მათ შეძლონ გამოგიზიარონ შემოთავაზებები, პრომოაციები ან რეკლამები პროდუქტებისა და სერვისების შესახებ, რომლებიც, ჩვენი აზრით, დაგაინტერესებთ. მაგალითად, ისინი, ვინც იღებენ P&C-ის ელწერილებს ბავშვის საფენების ჩვენი ბრენდებისგან, მაგალითად, პამპერსისგან®, შეიძლება, ასევე, დათანხმდნენ მიიღონ ინფორმაცია სხვა კომპანიების მიერ დამზადებული საბავშვო ფორმულების შესახებ.

✓ ონლაინ-პლატფორმები და სარეკლამო ტექნოლოგიის კომპანიები

ჩვენ ვებსაიტებსა და აპლიკაციებს შეუძლიათ გააზიარონ უნიკალური იდენტიფიკატორი, შეჯამებული და მიღებული ინფორმაცია, ონლაინ და ტექნიკური ინფორმაცია, გეოლოკაციის მონაცემები ონლაინ პლატფორმებთან

და სარეკლამო ტექნოლოგიურ კომპანიებთან, რათა დაგვეხმარონ მოგაწოდოთ შესაბამისი რეკლამები და შეთავაზებები. ჩვენ ყოველთვის უზრუნველვყოფთ, რომ დაკმაყოფილებული იყოს მოქმედი სამართლებრივი მოთხოვნები, რომელიც შეიძლება მოიცავდეს თანხმობას და/ან უარს, როდესაც ამას ვაკეთებთ. თქვენს პერსონალურ ინფორმაციას ფულადი კომპენსაციის სანაცვლოდ მარკეტოლოგებზე არ ვყიდით P&G-ის გარეთ. თუ თქვენ კალიფორნიაში ცხოვრობთ, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გაეცანით [კალიფორნიელი მომხმარებლის კონფიდენციალობის უფლებების](#) განყოფილებას, რომელიც ქვემოთ წარმოდგენილი კონფიდენციალობის დებულების ნაწილია.

✓ მომსახურების მომწოდებლები

თქვენი ინფორმაცია შეიძლება გავუზიაროთ მომსახურების მომწოდებლებს, რომლებიც გვეხმარებიან ჩვენი ბიზნესის მართვაში, მათ შორის, ჩვენი საიტის ჰოსტინგით უზრუნველყოფაში, თქვენთვის ელწერილების და მარკეტინგული შეტყობინებების მოწოდებაში, ჩვენ მიერ შეგროვებული მონაცემების ანალიზში, გაყიდვების ატრიბუციაში (მაგ., თუ პლატფორმის საიტზე რეკლამას გაჩვენებთ და შემდეგ თქვენ პროდუქტს შეიძენთ ჩვენგან) და თქვენ მიერ მოთხოვნილი პროდუქტებისა და სერვისების მოწოდებაში. თქვენს ინფორმაციას ასევე ვაწვდით იურისტებს, აუდიტორებს, კონსულტანტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და უსაფრთხოების სფეროში მომუშავე კომპანიებს და სხვებს, ვინც მომსახურებას გვიწევს. ამ კომპანიებს მხოლოდ იმ პერსონალურ ინფორმაციას ვუზიარებთ, რომლებიც მათ ჩვენ მიერ მოთხოვნილი ამოცანების შესასრულებლად სჭირდებათ. მათ მოეთხოვებათ, დაიცვან თქვენი ინფორმაცია ისევე, როგორც ჩვენ ვიცავთ მას, არ გაუზიარონ ის არავის და ის მხოლოდ ჩვენთვის მომსახურების გაწევის მიზნით გამოიყენონ. კონფიდენციალურობის ამ პოლიტიკის ბოლო განახლებამდე 12 თვის განმავლობაში ბიზნეს მიზნებიდან და ბიზნესის წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ შეიძლება მესამე მხარეებს მივაწოდეთ ინფორმაცია ზემოთ მოცემულ განყოფილებაში „[ჩვენ მიერ შეგროვებული მონაცემების ტიპები](#)“ ჩამოთვლილი ყველა კატეგორიიდან.

✓ შესყიდვებისთვის გადახდა

ჩვენი ზოგიერთი ვებსაიტიდან შესყიდვებისთვის გადახდა მოხდება მესამე მხარეამყიდველის ონლაინგადახდის სისტემის მეშვეობით. P&G-ისთვის არის ხელმისაწვდომი შესყიდვებისთვის მოწოდებული თქვენისაკრედიტო ბარათის ინფორმაცია და ის არინახავს დაარ ამჟღავნებს თქვენი საკრედიტო ბარათის ინფორმაციას მოცემული მესამე მხარეების სისტემების მეშვეობით თქვენი შესყიდვების პროცესში. ჩვენი ონლაინგადახდის სისტემისადმი თქვენ მიერ მოწოდებულ პირადან საფინანსო ინფორმაციაზე გავრცელდება მესამე მხარის კონფიდენციალობის დაცვის წესები და გამოყენების პირობები და ჩვენი რეკომენდაციაა გაეცნოთ მოცემულ წესებს რაიმე პირადიან საფინანსო ინფორმაციის მოწოდებამდე. P&G ამჟამად იყენებს [PayPal](#)-ს და [Braintree](#)-ს ჩვენი მესამე მხარე ელ. პლატფორმების სახით.

✓ იურიდიული და მსგავსი მიზეზები

თუ ბრენდი ან ჩვენი ერთ-ერთი ბიზნესი, რომლისთვისაც პერსონალური მონაცემები გაქვთ გაზიარებული, სხვა კომპანიაზე გაიყიდა, თქვენი მონაცემები იმ კომპანიასთან იქნება გაზიარებული. შედეგად, თქვენი ანგარიში და იქ არსებული პერსონალური მონაცემები არ წაიშლება, თუ არ ეტყვიან ბრენდს ან ახალ კომპანიას, რომ მათი წაშლა გსურთ. ასევე, შეიძლება თქვენი ინფორმაცია გავუზიაროთ კომპანიებს, რომლებიც ჩვენი უფლებებისა და საკუთრების დაცვაში გვეხმარებიან, ან როდესაც ამას კანონი ან სამთავრობო უწყებები ითხოვენ.

ჩვენ დიდი კომპანია ვართ და ბევრი პროდუქტი და ბიზნესი გვაქვს ბევრ ქვეყანაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იმისათვის, რომ ყველა მომხმარებელს საუკეთესო მომსახურება შევთავაზოთ, ჩვენ შემდეგი ტიპის მონაცემებს ვაგროვებთ..

გაითვალისწინეთ, რომ ეს სია ამომწურავია და მოიცავს ჩვენ მიერ შეგროვებული მონაცემების ყველა შესაძლო ტიპს. ბევრი მათგანი ნამდვილად არ იქნება შესაფერისი თქვენთვის. თუ გასურთ, შეიტყობთ, რა მონაცემები გვაქვს თქვენ შესახებ [უბრალოდ გვკითხეთ](#).

✓ რას ვაგროვებთ უმეტესწილად

საკონტაქტო ინფორმაცია ამ კატეგორიის მონაცემების ელემენტები მოიცავს სახელებს (მეტსახელებისა და წინა სახელების ჩათვლით), წოდებებს, საფოსტო მისამართებს, ელფოსტის მისამართებს, ტელეფონის/მობილურის ნომერს და თქვენთან დაკავშირებული პირების საკონტაქტო ინფორმაციას (როგორცაა თქვენი ანგარიშის ავტორიზებული მომხმარებლები).

ზოგადი დემოგრაფიული და ფსიქოგრაფიული მონაცემები ამ კატეგორიის მონაცემების ელემენტებში შედის პერსონალური ნიშან-თვისებები და გემოვნება, როგორცაა ასაკობრივი დიაპაზონი, ოჯახური მდგომარეობა, მსყიდველობითი გემოვნება, ენები, ლოიალურობისა და ბონუსური პროგრამის მონაცემები, ოჯახის დემოგრაფიული მონაცემები, სოციალური მედიაპლატფორმებზე არსებული მონაცემები, ინფორმაცია განათლების და პროფესიის შესახებ, ჰობი და ინტერესები და მესამე მხარეების მიერ განსაზღვრული მიდრეკილების კოეფიციენტი (ყიდვის, ცხოვრებისეული მოვლენის და ა.შ. ალბათობა).

ტრანზაქციასთან დაკავშირებული და კომერციული ინფორმაცია ამ კატეგორიის მონაცემების ელემენტებში შედის ინფორმაცია მომხმარებლის ანგარიშის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები, შესყიდვების ისტორია და მასთან დაკავშირებული ჩანაწერები (დაბრუნება, ჩანაწერები პროდუქტისა და სერვისის შესახებ, ჩანაწერები გადახდების შესახებ, კრედიტები და ა.შ.), ჩამოტვირთვებთან და პროდუქტებისა და აპლიკაციების ყიდვასთან დაკავშირებული ჩანაწერები, მომხმარებლის ავთენტიფიკაციისთვის განკუთვნილი არაბიომეტრული მონაცემები (პაროლები, ანგარიშის უსაფრთხოების შეკითხვები), ჩანაწერები მომხმარებელთა მომსახურების შესახებ.

უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომრები და დეტალური ინფორმაცია ანგარიშების შესახებ ამ კატეგორიის მონაცემების ელემენტებში შედის უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი (როგორცაა მომხმარებლის ნომერი, ანგარიშის ნომერი, გამოწერის ნომერი, ბონუსური პროგრამის ნომერი), სისტემის იდენტიფიკატორები (მათ შორის, მომხმარებლის სახელი და ონლაინ რეკვიზიტები), მოწყობილობის სარეკლამო აგენტები, სარეკლამო საიდენტიფიკაციო ნომრები და IP მისამართები.

ონლაინ და ტექნიკური ინფორმაცია მასში შედის ინფორმაცია ინტერნეტში ან სხვა ელექტრონულ ქსელში მოქმედების შესახებ. ამ კატეგორიის მონაცემების ელემენტებში შედის: IP მისამართი, MAC მისამართი, SSID-ები ან მოწყობილობის სხვა იდენტიფიკატორები ან მუდმივი იდენტიფიკატორები, მომხმარებლის ონლაინ ID, დაშიფრული პაროლი, მოწყობილობის მახასიათებლები (როგორცაა ინფორმაცია ბრაუზერის შესახებ), ვებსერვერის ჟურნალები, აპლიკაციის ჟურნალები, ვებსაიტების დათვალიერების მონაცემები, ყურების მონაცემები (ტელევიზორი, სტრიმინგი), ვებსაიტისა და აპის გამოყენება, პირველი მხარის ქუქი-ფაილები, მესამე მხარის ქუქი-ფაილები, Flash-ის ქუქი-ფაილები, Silverlight-ის ქუქი-ფაილები, ვებ-შუქურები, ცარიელი GIF-ფაილები და პიქსელის ტეგები.

ლოგიკურად მიღებული ინფორმაცია მასში შედის ინფორმაცია, რომელიც ამ განყოფილებაში მოცემული ინფორმაციისგან მიიღება. მონაცემების წარმოებულ და ლოგიკურად მიღებულ ელემენტებს ტრანზაქციასთან

დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად ვქმნით. ამ კატეგორიის მონაცემების ელემენტებში შედის მიდრეკილების კოეფიციენტები, ატრიბუტები და/ან ქულები, რომლებსაც შიდა ანალიტიკის პროგრამები ქმნის.

✓ რას ვაგროვებთ ზოგჯერ

ზუსტი გეოლოკაცია ამ კატეგორიის მონაცემების ელემენტებში შედის ზუსტი ადგილმდებარეობა (როგორცაა განედი/გრძედი ან ზოგ შემთხვევაში IP მისამართი).

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია იმის მიხედვით, თუ როგორ მოხდება შეგროვება, მონაცემთა ელემენტებში შევა:

- სამომხმარებლო პროგრამებიდან შეგროვებული მონაცემები
 - ჯანმრთელობასთან და სიმპტომებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია
 - ორსულობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, როგორცაა მშობიარობის ვადა
- სამომხმარებლო კვლევები, სადაც თქვენ ინფორმირებული თანხმობა გამოხატეთ
 - ინფორმაცია ფიზიკური ან მენტალური ჯანმრთელობის, დაავადების ეტაპის, სამედიცინო ანამნეზის და მკურნალობის ან დიაგნოზის და მიღებული წამლების შესახებ და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია

ფინანსური ინფორმაცია ამ კატეგორიის მონაცემების ელემენტებში შედის საბანკო ანგარიშის ნომერი და დეტალური მონაცემები და გადახდის ბარათთან დაკავშირებული ინფორმაცია (მაგ., როცა პირდაპირ ბრენდისგან ყიდულობთ ან ბრენდისგან იღებთ კრედიტს).

სახელმწიფოს მიერ გაცემული პირადობის დამდასტურებელი მოწმობები ამ კატეგორიის მონაცემების ელემენტებში შედის სახელმწიფოს მიერ გაცემული პირადობის დამდასტურებელი მოწმობა ან საგადასახადო ნომერი (მაგ., ზოგან კანონმდებლობა გვავალდებულებს ამ ინფორმაციის შეგროვებას კონკურსში გამარჯვებულებისგან).

აუდიოვიზუალური ინფორმაცია ამ კატეგორიის მონაცემების ელემენტებში შედის ფოტოები, ვიდეოგამოსახულებები, CCTV-ის ჩანაწერები, სატელეფონო ცენტრის ჩანაწერები და სატელეფონო ზარების კონტროლის ჩანაწერები და ხმოვანი ელექტრონული შეტყობინებები (მაგ., კვლევის მიზნით, როცა ჩვენს დაწესებულებებს სტუმრობთ ან გვირეკავთ).

ჭკვიანი მოწყობილობების და სენსორების მონაცემები ამ კატეგორიის მონაცემების ელემენტებში შედის ჭკვიანი მოწყობილობის ჩანაწერები, IoT-პროდუქტები (მაგ., Oral B-ის აპთან დაკავშირებული კბილის ჯაგრისიდან).

მონაცემები ბავშვების შესახებ ამ კატეგორიის მონაცემების ელემენტებში შეიძლება შევიდეს თქვენი ბავშვების რაოდენობა, თქვენი ბავშვების საფენების ზომა, მათი სქესი და ასაკი.

ბიომეტრიული ინფორმაცია ამ კატეგორიის მონაცემების ელემენტებში შედის სახის ამოცნობის მონაცემები და თქვენი ბიომეტრიული იდენტიფიკატორის მათემატიკური გამოსახულება, როგორცაა შედარებისთვის შექმნილი შაბლონი (მაგ., ჯანდაცვის სფეროს კვლევებისთვის). ჩვენ შევინახავთ ბიომეტრიულ მონაცემებს არაუმეტეს სამიწლის განმავლობაში ჩვენსა და ფიზიკურ პირს შორის ბოლო ურთიერთქმედებიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩვენ მოგვეთხოვება მათიშენახვა უფრომეტი ხნისგანმავლობაში საკანონმდებლო ანმარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის გამო, ან ჩვენი კანონიერი ინტერესების განსახორციელებლად ანდასაცავად.

ჩვენდავინერგეთ კომერციულად გონივრული წესები ამგვარი ბიომეტრიული მონაცემების დასაცავად და, თუსაჭიროა, მათსამუდამოდ წასაშლელად ანმოსაცილებლად.

ბავშვები და პირადი მონაცემები

ჩვენ ვიცავთ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ ყველა შესაბამის კანონს, როცა პერსონალურ ინფორმაციას ინტერნეტის მეშვეობით ბავშვებისგან ვაგროვებთ. მაგალითად, ევროპულ ეკონომიკურ ზონასა და გაერთიანებულ სამეფოში 16 წლამდე ასაკის ბავშვებისგან არ ვაგროვებთ პერსონალურ ინფორმაციას ბავშვის მიმართ მშობლის პასუხისმგებლობის მქონე პირის თანხმობის გარეშე – გამონაკლისია შემთხვევა, როცა ადგილობრივი კანონმდებლობით განსაზღვრულია უფრო მცირე ასაკი, რომელიც არ არის 13 წელზე ნაკლები. მსგავსად, აშშ-ში მშობლის დადასტურებული თანხმობის საფუძველზე ვაგროვებთ პერსონალურ ინფორმაციას 13 წლამდე ასაკის ბავშვებისგან.

როგორ ვიცავთ თქვენი ინფორმაციის უსაფრთხოებას

თქვენი კონფიდენციალურობა მნიშვნელოვანია. ამიტომ, დაკარგვისგან, ბოროტად გამოყენებისგან ან შეცვლისგან მის დასაცავად შესაბამის ნაბიჯებს ვდგამთ, რითიც ჩვენს პატივისცემას გამოვხატავთ.

ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს პერსონალურ ინფორმაციას და ვიღებთ ზომებს, რათა დავიცვათ ის დაკარგვის, ბოროტად გამოყენების ან შეცვლისაგან. საჭიროების მიხედვით, ეს ზომები შეიძლება მოიცავდეს ტექნიკურ ღონისძიებებს, როგორებიც არის ქსელის დაცვა, შემოჭრის აღმოჩენისა და პრევენციის სისტემები, უნიკალური და რთული პაროლები და დაშიფვრა. ჩვენ ასევე ვიყენებთ ორგანიზაციულ და ფიზიკურ ღონისძიებებს, როგორც არის პერსონალისთვის მონაცემთა დამუშავების ვალდებულებების საკითხების სწავლება, მონაცემებთან დაკავშირებული ინციდენტებისა და რისკების გამოვლენა, პერსონალისთვის თქვენს პერსონალურ ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვა და ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მათ შორის, დოკუმენტების სათანადო დაცვა, როცა ისინი არ გამოიყენება.

საერთაშორისო გადაცემა

თქვენი პერსონალური ინფორმაცია შეიძლება გადაეცეს, შეინახოს და დამუშავდეს არა იმ ქვეყანაში, რომელშიც ის შეგროვდა, მათ შორის შეერთებულ შტატებში. მაგალითად, შესაძლოა, თქვენი მონაცემები შევინახოთ აშშ-ში არსებულ სერვერზე, რადგან შესაბამისი მონაცემთა ბაზა იქ არის განთავსებული; და აღნიშნული მონაცემები, შესაძლოა, კვლავ „გადაიცეს“, როცა ერთ-ერთი ჩვენი მარკეტოლოგი მათ შევიცარიდან გამოიყენებს თქვენთვის ამა თუ იმ პროდუქტის ნიმუშის გამოსაგზავნად. ევროპის ეკონომიკური ზონიდან და გაერთიანებული სამეფოდან მიღებული მონაცემებისთვის ამგვარ გადაცემებს ვაწარმოებთ როგორც P&G-ის ორგანიზაციებს, ისე P&G-ისა და ჩვენს სერვისების პროვაიდერებს შორის, სახელშეკრულებო დაცვის გამოყენებით, რომელიც ევროკავშირის და გაერთიანებული სამეფოს მარეგულირებლებს დამტკიცებული აქვთ თქვენი მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად (ცნობილია, როგორც ტიპური ხელშეკრულების დებულებები). თუ გადაცემის შესახებ შეთანხმების ასლი გსურთ, [დაავიკავშირდით](#). ევროპის ეკონომიკური ზონისა და გაერთიანებული სამეფოს გარედან მიღებული მონაცემებისთვის ასეთ გადაცემებს ვაწარმოებთ თქვენი თანხმობის ან ჩვენი კონტრაქტების მიხედვით, როგორც ამას კანონი ითვალისწინებს.

✓ კალიფორნიის მომხმარებელთა კონფიდენციალურობის უფლებები

იმის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, თუ რა კატეგორიის პერსონალური მონაცემებს ვაგროვებთ, რა კომერციული და ბიზნეს მიზნები აქვს პერსონალური ინფორმაციის შეგროვებას და რა კატეგორიის მესამე მხარეებს ვაწვდით პერსონალურ ინფორმაციას, იხილეთ ზემოთ მოცემული განყოფილება მონაცემთა გამჟღავნების შესახებ. თუ კალიფორნიაში ცხოვრობთ, თქვენ გაქვთ უფლება, 12-თვიან პერიოდში ორჯერ მოითხოვოთ შემდეგი ინფორმაცია წინა 12 თვის განმავლობაში თქვენ შესახებ შეგროვებულ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით:

- თქვენ შესახებ შეგროვებული პერსონალური ინფორმაციის კატეგორიები და სპეციფიკური ნაწილები;
- იმ წყაროების კატეგორიები, რომლებსგანაც პერსონალური ინფორმაცია შევაგროვებთ;
- ბიზნესთან დაკავშირებული ან კომერციული მიზანი, რომლისთვისაც პერსონალური ინფორმაცია შევაგროვებთ ან გავყიდეთ;
- იმ მესამე მხარეების კატეგორიები, რომლებსაც პერსონალური ინფორმაცია მივაწოდებთ; და
- თქვენ შესახებ შეგროვებული იმ პერსონალური ინფორმაციის კატეგორიები, რომელიც გავყიდეთ ან ბიზნესთან დაკავშირებული მიზნით გავამჟღავნებთ და იმ მესამე მხარეების კატეგორიები, რომლებსაც აღნიშნული ინფორმაცია მივიყიდეთ ან გავუმჟღავნებთ ბიზნესთან დაკავშირებული მიზნით.

გარდა ამისა, თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ წაშალოთ თქვენს შესახებ შეგროვებული კონკრეტული პერსონალური მონაცემები. ზოგადი ინფორმაციის გასაჯაროების მიზნით, თქვენს შესახებ შეგროვებულ ყველა მონაცემზე წვდომა ან თუ გსურთ წაშალოთ თქვენი მონაცემები, როგორც ეს აღწერილია, [გთხოვთ](#), დაგვიკავშირდეთ აქ ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ რომელიმე ადგილზე: **(877) 701-0404**. თქვენი კონფიდენციალურობის დასაცავად და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად თქვენი ვინაობის დადასტურება აუცილებელი პერსონალურ მონაცემებზე წვდომის მიღებამდე ან წაშლის მოთხოვნის განხილვამდე. მოთხოვნის მიღების შემდეგ დასადასტურებელ ანკეტას გამოგიგზავნით ელფოსტით ან ჩვეულებრივი ფოსტით. თქვენი მოთხოვნის დასასრულებლად დასადასტურებელ ანკეტას უპასუხეთ მიღების შემდეგ, ვინაობის დასადასტურებლად ჩვენ შეიძლება მოვითხოვოთ ნებისმიერი შემდეგი მონაცემი: სახელი და გვარი, ელფოსტის მისამართი, საფოსტო მისამართი ან დაბადების თარიღი. ამასთან ერთად, თუ პერსონალური ინფორმაციის კონკრეტული ნაწილის მოწოდებას მოითხოვთ, ხელი უნდა მოაწეროთ განცხადებას და ნოტარიულად დაადასტუროთ, რომ ნამდვილად თქვენ ხართ მომხმარებელი, რომლის პირადი ინფორმაციაც არის მოთხოვნის საგანი.

გაითვალისწინეთ, რომ P&G ვერ წაშლის პერსონალურ ინფორმაციას იმ შემთხვევებში, როცა მისი შენახვა აუცილებელია ჩვენივე შიდა ბიზნეს-მიზნებისთვის ან ეს სხვა მხრივ დაშვებულია CCPA-ის მიერ (როგორცაა თაღლითობის პრევენცია და კანონებთან თავსებადობა). ამ შემთხვევებში თქვენს ინფორმაციას შევინახავთ ჩანაწერების შენახვის პროგრამის შესაბამისად და შენახვის პერიოდის დასრულებისთანავე წავშლით უსაფრთხოდ.

დაბოლოს, თქვენ ასევე გაქვთ პერსონალური ინფორმაციის გაყიდვაზე უარის თქმის უფლება. ამ უფლებით სარგებლობისთვის [დაგვიკავშირდით აქ](#) ან დაგვირეკეთ შემდეგ ნომერზე: **(877) 701-0404**.

იმის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, თუ როგორ მივაწოდებთ თქვენი ინფორმაცია მესამე მხარეებს ისე, რომ ის CCPA-ის წესების მიხედვით „გაყიდვის“ კატეგორიაში მოხვდა ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკის

განახლების თარიღამდე 12-თვიან პერიოდში, გთხოვთ, იხილოთ ქვემოთ მოცემული ცხრილი. ჩვენ გამიზნულად არ ვყიდით 16 წელს მიუღწეველი არასრულწლოვნების პერსონალურ ინფორმაციას.

გამოთვლები ბონუსურ პროგრამებში CCPA-ის თანახმად, თქვენ გაქვთ უფლება, იყოთ ინფორმირებული, თუ რატომაა კანონის მიხედვით დაშვებული ფინანსური წახალისების პროგრამები ან ფასსა და მომსახურებას შორის განსხვავებები, რაშიც მოიაზრება (i) თქვენი პერსონალური ინფორმაციის ღირებულების კეთილსინდისიერი შეფასება, რაც წამახალისებელი ფინანსური შემოთავაზების გაკეთების ან განსხვავებული სერვისის მოწოდების საფუძველს წარმოადგენს (ii) იმ მეთოდის აღწერა, რომელიც თქვენი პიროვნების მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის ღირებულების გამოსათვლელად გამოვიყენეთ. ზოგადად, პერსონალურ ინფორმაციას ფულად ან სხვა ღირებულებას არ ვანიჭებთ. მიუხედავად ამისა, იმ შემთხვევაში, თუ კანონი დაგვავალდებულებს, რომ ასეთი ღირებულება დავადგინოთ ბონუსურ პროგრამების ან განსხვავებული ფასისა და მომსახურების კონტექსტში, ჩვენ შევაფასებთ შეგროვებულ პერსონალურ ინფორმაციას და გამოვიყენებთ როგორც იმავე ღირებულების მქონეს, რაც ფასდაკლებას ან ფინანსურ წახალისებას აქვს, ხოლო ღირებულების გამოთვლა დაეყრდნობა პრაქტიკულ და კეთილსინდისიერ შეფასებას, რომელშიც ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება (i) შეგროვებული პერსონალური ინფორმაციის კატეგორიები (მაგ., სახელები და გვარები, ელფოსტის მისამართები), (ii) ჩვენთვის და ჩვენი ბონუსური პროგრამებისათვის მსგავსი ინფორმაციის გადმოცემის უნარი, (iii) შემოთავაზებული შემცირებული ფასი, (iv) ჩვენს ბონუსურ პროგრამებში ჩართული მომხმარებლების ოდენობა და (v) პროდუქტი ან სერვისი, რომელზეც ვრცელდება ბონუსური პროგრამები ან განსხვავებული ფასი ან მომსახურება. აქ აღწერილი ღირებულების გამჟღავნება არ ისახავს მიზნად უარის თქმას და არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, რომ თითქოს წარმოადგენს უარის თქმას ჩვენს დაპატენტებულ ან ბიზნესთან დაკავშირებულ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე, მათ შორის, კომერციულ საიდუმლოებებზე და არ წარმოადგენს საბუღალტრო აღრიცხვის ზოგადად აღიარებული პრინციპების ან ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების შესაფერის რამე მტკიცებას.

შენიშვნა კალიფორნიაში მცხოვრები არასრულწლოვნების შესახებ ჩვენ შეიძლება გვქონდეს ინტერაქტიული სერვისები, რომლებიც 18 წლამდე მოზარდებს საშუალებას აძლევს, ატვირთონ საკუთარი შიგთავსი (მაგ., ვიდეოები, კომენტარები, სტატუსის განახლებები ან სურათები). ეს შიგთავსი შეიძლება წაიშალოს ნებისმიერ დროს, თუ მიჰყვებით ინსტრუქციებს ჩვენს საიტებზე. თუ გაქვთ შეკითხვები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაკეთოთ ეს, [დაგვეკავშირდით](#). გაითვალისწინეთ, რომ ამგვარი პოსტები შეიძლება სხვებს დაეკოპირებინათ, გადაემისამართებინათ ან სხვაგან გამოექვეყნებინათ და ჩვენ ამგვარ ქმედებებზე პასუხს არ ვაგებთ. ასეთ შემთხვევებში უნდა დაუკავშირდეთ სხვა საიტის მფლობელებს და მოსთხოვოთ თქვენი შიგთავსის წაშლა.

▼ პერსონალური ინფორმაციის „გაყიდვა“

▼ უნიკალური იდენტიფიკატორები, წარმოებული და ლოგიკურად დამუშავებული ინფორმაცია, ონლაინ და ტექნიკური ინფორმაცია და გეოლოკაციის მონაცემები

ამ პერსონალურ ინფორმაციას ვყიდით მესამე მხარეების შემდეგ კატეგორიებზე:

- ონლაინპლატფორმებზე, როგორცაა Google, Amazon, Facebook
- სარეკლამო ტექნოლოგიების კომპანიებზე, როგორცაა ჩვენი DSP

ამ მონაცემების გაზიარება ხდება მიზნობრივი რეკლამის შესაქმნელად. ეს კომპანიები აღნიშნულ მონაცემებს ამუშავებენ თავიანთი პროდუქტებისა და სერვისების გასაუმჯობესებლად მათივე პლატფორმის წესების შესაბამისად.

▼ დემოგრაფიული ინფორმაცია და სასურველი პარამეტრები

ამ პერსონალურ ინფორმაციას ვყიდით მესამე მხარეების შემდეგ კატეგორიებზე:

- პარტნიორებზე საცალო ვაჭრობის სფეროდან

ამ მონაცემების გაზიარება მოხდება ერთობლივ მარკეტინგულ ღონისძიებებზე თქვენ მიერ განცხადებული თანხმობის შესაბამისად (მაგ., ბონუსური პროგრამების შემთხვევაში)

სხვა სახის ნებისმიერ ინფორმაციას ასევე თქვენი თანხმობით ვყიდით

✓ უარის თქმის ინსტრუქცია

თქვენი მონაცემების გაყიდვაზე უარის სათქმელად [დააწკაპუნეთ აქ](#) ან დაგვირეკეთ ნომერზე: (877) 701-0404.

თუ შიდა ჩანაწერების განახლება გსურთ, რათა ჩვენი ბრენდული პროგრამებიდან მიღებული თქვენი პირადი ინფორმაცია მესამე მხარეს არ მივაწოდოთ ისე, რომ ეს მოქმედება „გაყიდვის“ კატეგორიაში მოხვდეს, გთხოვთ, დააწკაპუნოთ აქ ან დაგვირეკოთ ნომერზე: (877) 701-0404.

გაითვალისწინეთ, რომ P&G-მ თქვენი პერსონალური ინფორმაცია ასევე შეიძლება გადასცეს მესამე მხარეებს ქუქი-ფაილების ან მონიტორინგის ტექნოლოგიების გამოყენებით, სარეკლამო ან ერთობლივი მარკეტინგული მიზნებისთვის. იმისათვის, რომ გამოიყენოთ „გაყიდვაზე უარის“ უფლება, რომელიც ვებსაიტის ქუქი-ფაილებსა და მონიტორინგის ტექნოლოგიებთანაა დაკავშირებული, გთხოვთ, ეწვიოთ შესაბამისი ბრენდის ვებსაიტს, იხილოთ California Do Not “Sell” Request Center, რომელიც გვერდის ბოლოშია მოთავსებული და დააყენოთ სასურველი პარამეტრები. იმის გამო, რომ ზოგიერთი მესამე მხარე განსხვავებულად მუშაობს ვებსაიტისა და მოწყობილობის ტიპიდან გამომდინარე, თქვენ შეიძლება დაგჭირდეთ ამ ნაბიჯის გამეორება P&G-ის თითოეულ საიტზე.

CCPA-ის თანახმად, თქვენ შეგიძლიათ, ავტორიზებულ აგენტს მისცეთ უფლება, თქვენი სახელით გააკეთოს მოთხოვნა, მაგრამ აგენტმა ვერიფიკაციის პროცესი უნდა გაიაროს, მათ შორის, გამოგზავნოს იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ მას ნამდვილად აქვს თქვენი სახლით მოქმედების უფლება. თუ აგენტი თქვენი სახელით გააკეთებს წვდომის და წაშლის მოთხოვნებს, ჩვენ ასევე შეიძლება მოვითხოვოთ, რომ პირადად თქვენ დაადასტუროთ ვინაობა უშუალოდ ჩვენთან (როგორც ეს ზემოთაა აღწერილი). ჩვენ არ შეგვეთას არ გაგიუქმებთ, სხვადასხვა ფასს არ დავადებთ ან განსხვავებული დონის ან ხარისხის პროდუქტს ან მომსახურებას არ შემოგთავაზებთ, თუ თქვენ საკუთარი უფლებებით სარგებლობას გადაწყვეტთ CCPA-ის ფარგლებში.

დააწკაპუნეთ [აქ](#) წინა კალენდარული წლის მოთხოვნების მეტრიკის სანახავად.

✓ კონფიდენციალურობა ევროპის ეკონომიკურ ზონაში და გაერთიანებულ სამეფოში

წინამდებარე სექცია ეხება მხოლოდ ევროპულ ეკონომიკურ ზონასა და გაერთიანებულ სამეფოში მცხოვრები პირების პერსონალური მონაცემების ჩვენ მიერ დამუშავებას. მისი მიზანია, მეტი გამჭვირვალობა შეიტანოს ევროპულ ეკონომიკურ ზონასა და გაერთიანებულ სამეფოში მცხოვრები პირების პერსონალური მონაცემების ჩვენ მიერ დამუშავებაში, შენახვასა და გადაცემაში, რაც შეესაბამება და აკმაყოფილებს მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციას (GDPR) და მონაცემთა დაცვის 2018 წლის აქტის მიხედვით გაერთიანებულ სამეფოში ამოქმედებულ GDPR-ს, რომელიც დაზუსტდა მონაცემთა დაცვის, კონფიდენციალურობის და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონით (შესწორებები და ა.შ.). (ევროკავშირიდან გასვლა) 2019 წლის რეგულაციები.

✓ იურიდიული პირები

თქვენი პერსონალური მონაცემების მაკონტროლებელი, შესაძლოა, P&G-ის სხვადასხვა იურიდიული პირი იყოს. მონაცემთა მაკონტროლებელი არის სუბიექტი, რომელიც ხელმძღვანელობს მონაცემთა დამუშავებას და რომელსაც

უმთავრესი პასუხისმგებლობა აკისრია მონაცემებზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჩვენი მონაცემთა მაკონტროლებლები ევროკავშირის ქვეყნების მონაცემებისთვის. მაგალითად, როცა ელწერილების მისაღებად ერთ-ერთ ჩვენს ფრანგულ ვებსაიტზე დარეგისტრირდებით, შესაბამისი პერსონალური მონაცემების მაკონტროლებელი იქნება მოცემული ქვეყნის სახელის გვერდით მითითებული P&G-ის იურიდიული პირი (მაგ., Procter & Gamble France SAS).

ქვეყნები	მონაცემთა მაკონტროლებელი
ავსტრია	Procter & Gamble Austria — Zweigniederlassung der Procter & Gamble GmbH, Wiedner Gürtel 13, 100 Wien
ბულგარეთი	Procter & Gamble Bulgaria EOOD, Sofia 1404, Bd. Bulgaria nr. 69, Bulgaria
რუმინეთი	კონკურსებისთვის: Procter & Gamble Distribution SRL, 9-9A Dimitrie Pompei Blvd., Building 2A, District 2, Bucharest 020335, Romania სხვა საიტებისთვის: Procter & Gamble Marketing Romania SR, 9-9A Dimitrie Pompei Blvd., Building 2A, District 2, Bucharest 020335, Romania
პოლონეთი	Procter and Gamble DS Polska sp z o.o., ul. Zabraniecka 20, 03-872 Warszawa, პოლონეთი
ბელგია	Procter & Gamble Distribution Company (Europe) BVBA P&G Healthcare: P&G Health Belgium BVBA, Temselaan 100, 1853 Strombeek-Bever
ჩეხეთის რესპუბლიკა	Procter & Gamble Czech Republic s.r.o., 269 01 Rakovník, Ottova 402, Czech Republic
უნგრეთი	Procter & Gamble Magyarország Nagykereskedelmi Kkt, 1082 Budapest, Kisfaludy utca 38., Hungary
სლოვაკეთი	Procter & Gamble, spol. s.r.o., Einsteinova 24, 851 01 Bratislava, Slovakia
ხორვატია	Procter & Gamble d.o.o. za trgovinu, Bani 110, Buzin, 10010 Zagreb, Croatia
საფრანგეთი	Procter & Gamble France SAS P&G HealthCare: Procter & Gamble Pharmaceuticals France SAS / P&G Health France SAS 163/165 quai Aulagnier, 92600 Asnières-sur-Seine
გერმანია	Procter & Gamble Service GmbH, Sulzbacher Strasse 40, 65824 Schwalbach am Taunus P&G Health: P&G Health Germany GmbH, Sulzbacher Strasse 40, 65824 Schwalbach am Taunus
საბერძნეთი	P&G Hellas Ltd. 49 Ag. Konstantinou str., 15124 Maroussi – Athens, Greece
ირლანდია	Procter & Gamble UK, The Heights, Brooklands, Weybridge, Surrey KT13 OXP
იტალია	Procter & Gamble Srl, viale Giorgio Ribotta 11, 00144 Roma
ნიდერლანდები	Procter & Gamble Nederland B.V., Watermanweg 100, 3067-GG Rotterdam

New address as of April 27, 2020: Weena 505, 3013 AL Rotterdam

პორტუგალია Procter & Gamble Portugal, Produtos de Consumo Higiene de Saude, S.A., S.A. Edificio Alvares
Cabral 3º, Quinta da Fonte, 2774-527 Paço D'Arcos, Portugal

ესპანეთი Procter & Gamble España, S.A , Avenida de Bruselas, 24, 28108 Alcobendas, Madrid, Spain

გაერთიანებული სამეფო Procter & Gamble UK
Seven Seas Limited, The Heights, Brooklands, Weybridge, Surrey KT13 0XP

ევროკავშირის ქვეყნები, რომლებიც სიაში არ არიან Procter & Gamble International Operations SA, Route de Saint-Georges 47
1213 PETIT-LANCY
Geneve

▼ დამუშავება და შენახვა

როგორც წესი, თქვენს მონაცემებს ვინახავთ მხოლოდ იმდენი ხნით, რამდენიც მისი შეგროვების მიზნების შესასრულებლად არის საჭირო ან რამდენ ხანსაც კანონი მოითხოვს. შეიძლება თქვენი მონაცემების შენახვა დაგვჭირდეს ჩვენს მითითებულ შენახვის პერიოდებზე მეტ ხანს, რათა შევასრულოთ თქვენი მოთხოვნები, მათ შორის, გავაგრძელოთ თქვენი გამორიცხვა მარკეტინგული ელწერილების ადრესატებიდან, ან შევასრულოთ სამართლებრივი თუ სხვა ვალდებულებები. ეს განყოფილება წარმოგიდგენთ ჩვენ მიერ შეგროვებულ მონაცემთა ტიპებს, მიზნებს, რისთვისაც მათ ვიყენებთ, რატომ შეესაბამება ამგვარი გამოყენება კანონს (სამართლებრივი საფუძველი) და რამდენი ხნით ვინახავთ მათ ჩვეულებრივ (შენახვის პერიოდი).

▼ მარკეტინგი

მონაცემთა ტიპები ელფოსტა, სახელი, ტელეფონის ნომერი, საფოსტო მისამართი, თქვენი მისწრაფებები, თქვენი ინტერესები, ჩვენს საიტებზე თუ აპებში თქვენი აქტივობა ავტორიზაციის გავლის შემდეგ, თქვენი პროფესია, თქვენი ჩვევები, რა იყიდეთ, თქვენ მიერ ატვირთული ფოტოები ან ვიდეოები, ინფორმაცია თქვენი ზავშვებისა და სახლის შესახებ, თქვენი ოჯახის შემადგენლობა, ადამიანების რაოდენობა თქვენს ოჯახში, თქვენი თმის ტიპი, თქვენი კანის ტიპი, თქვენი საყვარელი სურნელი, გყავთ თუ არა შინაური ცხოველი და, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია (მაგალითად, თქვენი ორსულობის გამოვლენის თარიღი) ა.შ.

რატომ ვაგროვებთ ამ მონაცემებს ჩვენი პროდუქტების ან სერვისების ან ჩვენი პარტნიორების პროდუქტების ან სერვისების მარკეტინგული მასალების გამოსაგზავნად

იურიდიული საფუძველი თქვენი თანხმობა ელწერილებზე და SMS-ზე, ნებისმიერი კატეგორიის სპეციალური ინფორმაცია, და, თუ მოპოვებული გვაქვს, თანხმობა საფოსტო შეტყობინებებზე. ლეგიტიმური ინტერესები ყველაფერ დანარჩენზე.

შენახვის პერიოდი სანამ არ მოითხოვთ პერსონალური მონაცემების წაშლას ან არ გააუქმებთ თქვენს თანხმობას. თუ ამგვარ მოთხოვნას არ გააკეთებთ, პერსონალური მონაცემები შემდეგი სქემით წაიშლება:

ელფოსტა: ყველა არხზე უმოქმედობის <50 თვის შემდეგ. უმოქმედობას რამდენიმე შიდა კრიტერიუმით განვსაზღვრავთ.

SMS: ყველა არხზე უმოქმედობის <50 თვის შემდეგ. უმოქმედობას რამდენიმე შიდა კრიტერიუმით განვსაზღვრავთ.

საფოსტო მისამართი: ყველა არხზე უმოქმედობის <50 თვის შემდეგ. უმოქმედობას რამდენიმე შიდა კრიტერიუმით განვსაზღვრავთ.

მოცემული შენახვის ვადები შეიძლება შედარებით მოკლე იყოს გარკვეულ ქვეყნებში, ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისად.

▼ კონკურსები

მონაცემთა ტიპები ელფოსტა, სახელი, ტელეფონის ნომერი, ზოგჯერ სხვა მონაცემები.

რატომ ვაგროვებთ ამ მონაცემებს კონკურსის მონაწილეებისთვის კონკურსის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად, მათ შორის, კონკურსის გამარჯვებულ(ებ)ის გამოცხადებისთვის.

იურიდიული საფუძველი ხელშეკრულების შესრულება.

შენახვის პერიოდი 24 თვის განმავლობაში, თუ ადგილობრივი კანონი მის უფრო ხანგრძლივად შენახვას არ მოითხოვს.

▼ პროდუქტის შესყიდვები

მონაცემთა ტიპები ელფოსტა, სახელი, ტელეფონის ნომერი, გადახდის ინფორმაცია (მათ შორის, საბანკო ანგარიშის IBAN-ის ან Paypal-ის დეტალები), ზოგჯერ სხვა მონაცემები.

რატომ ვაგროვებთ ამ მონაცემებს იმისათვის, რომ დავამუშაოთ თქვენ მიერ ჩვენი პროდუქტების ყიდვა, ქეშბექის შეთავაზებები ან გარანტიები და გამოგიგზავნოთ ამ შესყიდვებთან დაკავშირებული შეტყობინებები.

იურიდიული საფუძველი ხელშეკრულების შესრულება.

შენახვის პერიოდი რამდენი ხანიც საჭირო იქნება თქვენი შეკვეთის შესასრულებლად და თქვენი შეკვეთის შემდგომი კომუნიკაციის საწარმოებლად, თუ ადგილობრივი კანონი უფრო ხანგრძლივად შენახვას არ ითხოვს. ასევე, ზოგადად, მონაცემებს ქეშბექის შეთავაზებებისთვის ვინახავთ 24 თვის განმავლობაში და გარანტიებისთვის — 10 წლის განმავლობაში

▼ კონტაქტი

მონაცემთა ტიპები ელფოსტა, სახელი, ტელეფონის ნომერი, ზოგჯერ სხვა მონაცემები.

რატომ ვაგროვებთ ამ მონაცემებს თქვენს შეკითხვებზე საპასუხოდ და იმაში დასარწმუნებლად, რომ სათანადოდ მივყვებით საკითხს ბოლომდე, ან როგორც მოითხოვს კანონი ან P&C-ის პოლიტიკა.

იურიდიული საფუძველი ჩვენი ლეგიტიმური ბიზნესინტერესი, ვმართოთ მომხმარებლების შეკითხვები და გავაუმჯობესოთ ჩვენი პროცესები და პროდუქტები, ასევე თქვენი თანხმობა მონაცემთა სპეციალურ კატეგორიაზე, რომელიც შეიძლება ზოგიერთ არასასურველ შემთხვევაში შეგროვდეს.

შენახვის პერიოდი 0-დან 10 წლამდე, შეკითხვის ბუნებიდან, მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით ჩვენი ლეგიტიმური ინტერესებიდან და ჩვენი სამართლებრივი ვალდებულებებიდან გამომდინარე.

▼ კვლევა

მონაცემთა ტიპები ელფოსტა, სახელი და გვარი, ტელეფონის ნომერი, მისამართი, იდენტიფიცირებადი ფოტოები ან ვიდეოები, ზოგჯერ სხვა მონაცემები.

რატომ ვაგროვებთ ამ მონაცემებს პროდუქტთან დაკავშირებული იდეების დასატესტად და თქვენი გემოვნებისა და ქცევის გასაგებად, რათა ჩვენი პროდუქტების და მომხმარებლების ცხოვრების გაუმჯობესება შევძლოთ.

იურიდიული საფუძველი თქვენი თანხმობა.

შენახვის პერიოდი არსებითი კლინიკური კვლევის ფარგლებში შეგროვებულ პერსონალურ მონაცემებს შევინახავთ იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება მათი შეგროვების მიზნისთვის და/ან იმდენ ხანს, რამდენი ხნითაც მათ შენახვას ადგილობრივი კანონი ან რეგულაცია მოითხოვს, რაც შეიძლება 25 წლამდე პერიოდს შეადგენდეს. არაკლინიკური კვლევისთვის, თქვენს არსებით პერსონალურ მონაცემებს შევინახავთ არა უმეტეს 5 წლის ვადით. ჩვენ შევინახავთ თქვენ მიერ ხელმოწერილ ინფორმირებულ თანხმობის დოკუმენტებს.

▶ ქცევაზე დაფუძნებული ტრადიციული ონლაინრეკლამა

მონაცემთა ტიპები სარეკლამო ქუქი-ფაილები, მოწყობილობის საიდენტიფიკაციო ნომერი, დემოგრაფიული ინფორმაცია, როგორცაა სქესი და ასაკი, ქცევითი მონაცემები, როგორცაა გვერდის ნახვები და სხვა მონაცემები.

რატომ ვაგროვებთ ამ მონაცემებს თქვენი ინტერნეტ-ინტერესების შესახებ გასაგებად და თქვენთვის გამოგზავნილი რეკლამების მოსარგებად.

იურიდიული საფუძველი ჩვენ მოვიპოვეთ თქვენს თანხმობას ჩვენს საკუთარ ვებსაიტებზე ქუქი-ფაილების განსათავსებლად, როგორც ამას ePrivacy-ის მოთხოვნები ითვალისწინებს. როდესაც ჩვენს ტეგებს ვათავსებთ მესამე მხარის ვებსაიტებზე ან ვყიდულობთ მონაცემებს მესამე მხარე მომწოდებლებისგან, ჩვენი პარტნიორებისგან მოვითხოვთ თქვენი თანხმობის მიღებას ჩვენი ტეგის გამოყენებამდე ან ჩვენთვის თქვენი მონაცემების გაზიარებამდე.

ამა თუ იმ კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, ჩვენ შეიძლება დავეყრდნოთ ჩვენს კანონიერ ბიზნეს ინტერესებს ან თანხმობას თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნით იმისათვის, რომ უზრუნველგყოთ შესაბამისი რეკლამირებით სხვადასხვა მედია არხებზე.

შენახვის პერიოდი ამ მონაცემებს შევინახავთ მათი შეგროვების თარიღიდან ცამეტი თვის განმავლობაში ან სანამ უარს არ იტყვით, იმის მიხედვით, თუ რომელი დადგება უფრო ადრე.

დაგვიკავშირდით

კიდევ გაქვთ დამატებითი შეკითხვა ან საწუხარი? მზად ვართ, დაგეხმაროთ.

გთხოვთ, [დაგვიკავშირდეთ](#) უშუალოდ ნებისმიერი შეკითხვით ან პრობლემით, რომელიც შეიძლება გაგიჩნდეთ თქვენს კონფიდენციალობასთან და ჩვენს მონაცემების დაცვის პრაქტიკასთან დაკავშირებით ან თუ ხართ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მომხმარებელი და გჭირდებათ ამ შეტყობინების ასლი ალტერნატიული ფორმატით. თუ გაქვთ შეკითხვა, რომელიც კონკრეტულად მონაცემთა დაცვის ოფიცრისთვისაა განკუთვნილი, მაგალითად, მონაცემთა სავარაუდო გაჟონვის შესახებ, შეტყობინებაში ეს უნდა აღნიშნოთ. ასევე შეგიძლიათ მისწეროთ მონაცემთა დაცვის ოფიცერს (Data Protection Officer) მისამართზე: 1 Procter & Gamble Plaza, Cincinnati, OH 45202, U.S.A.

Procter & Gamble Ireland, Graan House, E1 და E14 ერთეულები, Calmount Business Park, დუბლინის 12, ირლანდია მოქმედებს, როგორც ჩვენი წარმომადგენელი დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირში, ხელოვნების შესაბამისად. 27 GDPR.



 საკონტაქტო ინფორმაცია |  კარიერა ↗

პარტნიორები და ინვესტორები

ინვესტორები ↗ | გახდით ჩვენი პარტნიორი ↗ | მომწოდებლები ↗ |

ჩვენი კომპანია

ხელმძღვანელობა | სტრუქტურა და მმართველობა | წესები და პრაქტიკა | არქივი | ჯილდოები და აღიარება |
რედაქციის განყოფილება ↗ |

იურიდიული

კონფიდენციალობა ↗ | წესები და პირობები ↗ |